



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №112/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 23 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 01 ოქტომბრის №112/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე-- --) წარმოებაში იმყოფებოდა სს საქმე -- -- მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. მოსამართლემ მის (-- --) მიმართ, შვილის თანდასწრებით, განახორციელა მუქარა და განუცხადა, რომ თუ დაზარალებულთან საპროცესო შეთანხმება არ იქნებოდა გაფორმებული, სასამართლო საქმეზე დაადგენდა გამამტყუნებელ განაჩენს.

1.2. სასამართლომ განაჩენში გაიზიარა მტკიცებულება, რაც დაზარალებულის მიერ მოპოვებული იყო საქართველოს სსსკ-ის 158-ე მუხლის დარღვევით, კერძო საუბრის უნებართვო, ფარულად ჩაწერის შედეგად.

1.3. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები, რის შედეგადაც, საქმეზე დაადგინა უკანონო განაჩენი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

--საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე-- --) 2018 წლის 31 იანვრის განაჩენით, -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლის დაწყების თარიღად განესაზღვრა მისი შემდგომი დაკავება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს და დადგინდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, სამოსამართლო მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან. იგი უნდა მოერიდოს ისეთ ქცევას, რომელსაც პროცესის მონაწილენი ან საზოგადოება აღიქვამს წინასწარ შექმნილ შეხედულებად.

მოსამართლის ქცევის ბანგალორის პრინციპების 2.4 პრინციპის შესაბამისად, საქმის განხილვის წინ მოსამართლე თავს იკავებს ნებისმიერი კომენტარისაგან, რომელთაც შეუძლიათ, ვითარების გონივრულად შეფასებიდან გამომდინარე, რაიმე სახით გავლენა მოახდინონ ამ საქმის გადაწყვეტაზე, ან ექვექვემ დააყენონ პროცესის სამართლიანად წარმართვა. მოსამართლე თავს იკავებს საჯარო ან სხვა სახის კომენტარებისაგან, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება შეაფერხოს ამა თუ იმ პირთან ან საკითხთან დაკავშირებული საქმის მიუკერძოებელი განხილვა.

საქართველოს სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.

მომჩივანი მოცემულ საქმესთან მიმართებით განმარტავს, რომ მოსამართლემ მის მიმართ, შვილის თანდასწრებით, განახორციელა მუქარა და განუცხადა, რომ თუ დაზარალებულთან საპროცესო შეთანხმება არ იქნებოდა გაფორმებული, სასამართლო საქმეზე დაადგენდა გამამტყუნებელ განაჩენს.

პრეტენზიის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, გამოკვლეული იქნა სს საქმეზე მოსამართლე -- -- მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერები. გამოკვლევის შედეგად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტი არ დადგინდა. შესაბამისად, პრეტენზიის უსაფუძვლობის გამო, არ დასტურდება მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.2. სს საქმეზე, დაზარალებულ -- -- მიერ წარდგენილია მისი სხვა პირებთან შეხვედრის ამსახველი ჩანაწერები. აღნიშნული, 2015 წლის 25 ივნისის სასამართლო სხდომაზე დასაშვებ მტკიცებულებადაა ცნობილი (ჩანაწერთა დასაშვებობა წინასასამართლო სხდომაზე სადაოდ არ გაუხდია დაცვის მხარეს). მომჩივანი მოცემულთან მიმართებით აღნიშნავს, რომ სასამართლომ განაჩენში გაიზიარა მტკიცებულება, რაც დაზარალებულის მიერ მოპოვებული იყო საქართველოს სსსკ-ის 158-ე მუხლის დარღვევით, კერძო საუბრის უნებართვო, ფარულად ჩაწერის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგამომიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით... თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო, განაჩენის დადგენისას აფასებს დასაშვებად ცნობილ და სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ მტკიცებულებას. საქმის მასალების თანახმად კი ირკვევა, რომ საუბრის ჩანაწერები დასაშვებად ცნობილი და სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებაა. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყო განაჩენის დადგენისას შეეფასებინა იგი.

ამასთან, ვინაიდან მტკიცებულების მოპოვების კანონიერების შეფასება (დასაშვებობა) არ უკავშირდება მოსამართლის შინაგან რწმენას და ეყრდნობა მხოლოდ იმპერატიულად დადგენილ საპროცესო წესს, მნიშვნელოვანია ამ კუთხით პრეტენზიის საფუძვლიანობის გამოკვლევა საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლთან მიმართებაშიც.

საგულისხმოა, რომ საქმის მასალების თანახმად, საქმეზე დართულ საუბრის ჩანაწერებში დაზარალებული -- -- თავად წარმოადგენს კომუნიკაციის მონაწილე მხარეს. აღნიშნული

ჩანაწერი შემდგომში მანვე წარუდგინა გამოძიებას. შესაბამისად, შემთხვევა განეკუთვნება იმ საგამონაკლისო წესს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლით (...კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად) და არ საჭიროებს სასამართლოს წინასწარ ნებართვას (განჩინებას) საუბრის ფარულად ჩაწერასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოსაზრება ჩანაწერთა დაუშვებლობის თაობაზე, უსაფუძვლოა და გაზიარებული ვერ იქნება.

რაც შეეხება სასამართლოს შეფასებებს ჩანაწერებში აღნიშნულ გარემოებებთან მიმართებით, აღნიშნული უკავშირდება მოსამართლის შინაგან რწმენას, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია შემოწმდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.

3.3. საჩივრის ავტორი ეჭვს ქვეშ აყენებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერებას, მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საფუძველებით. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხი დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია განვიხილოთ, შემდეგ სამართლებრივ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (*Barberia, Messegue, jabardo v. Spain*).

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხზე მსჯელობა მოითხოვს მტკიცებულებათა რელევანტურობის, უტყუარობის კუთხით, სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი დასკვნების შემოწმების აუცილებლობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ამგვარ სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) და „თ“ (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №112/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი